74/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

585/2

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

29

№ 7 (402)

1974 წლის ივლისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 7 (402) ივლისი 1974 წელი

შინაარსი

განკოფილება პირველი

127. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. რ. ნადირაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

128. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ფ. დ. დუმბაძის საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

129. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. პაატაშვილის საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

130. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ნ. ქრისტესიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად დაწვების შესახებ.

131. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ფეთქებადი ნივთიერებების უკანონოდ ტარების, შენახვის, შეძენის, დამზადებისა და გასაღებისათვის, აგრეთვე ხანჯლების, ფინური დანების ან სხვაგვარი ცივი იარაღის უკანონოდ ტარების, დამზადებისა და გასაღებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

132. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა 1974 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ.

133. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გორის რაიონული საბჭოს, ფოთისა და გორის საქალაქო საბჭოების აღმასკომების შინაგან საქმეთა განყოფილებებში დანაშაულობათა და სამართალდარღვევათა თაობაზე მოქალაქეთა სარჩივრებისა და განცხადებების განხილვის მდგომარეობის შესახებ.

№ 4
ეროვნული ბიბლიოთეკა

134. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ახალქალაქის ... ონის სახალხო მოსამართლის ხ. ლ. საკიანის გაწვევის შესახებ.

განყოფილება მეორე

135. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალ.. წაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
136. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოწინავე პროპაგანდისტებისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
137. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
138. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით მოწინავე პროპაგანდისტების დაჯილდოების შესახებ.
139. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომპოზიტორ ა. კ. ანდრიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
140. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. დ. დავითაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
141. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომპოზიტორ გ. ი. კოკელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
142. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ა. სეხნიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
საინფორმაციო ცნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

127 **ამხ. გ. რ. ნადირაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. გრიგოლ რომანოზის ძე **ნადირაძე** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 10 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

128 **ამხ. ფ. დ. დუმბაძის საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. ფატუშა დავითის ასული **დუმბაძე** საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 18 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

129 **ამხ. ვ. ა. პაატაშვილის საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ვახტანგ ალექსანდრეს ძე **პაატაშვილი** საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 19 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

130 ამხ. ი. ნ. ქრისტესიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი სასაერთლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაშვებულ იქნეს ამხ. ივანე ნიკოლოზის ძე **ქრისტესიაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე მის არჩევამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი, 1974 წლის 19 ივლისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

131 ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ფეთქებადი ნივთიერებების უკანონოდ ტარების, შენახვის, შეძენის, დამზადებისა და გასაღებისათვის, აგრეთვე ხანჯლების, ფინური დანების ან სხვაგვარი ცივი იარაღის უკანონოდ ტარების, დამზადებისა და გასაღებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

„ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ფეთქებადი ნივთიერებების უკანონოდ ტარების, შენახვის, შეძენის, დამზადებისა და გასაღებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 11 თებერვლის ბრძანებულებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ხანჯლების, ფინური დანებისა და სხვაგვარი ცივი იარაღის უკანონოდ ტარების, დამზადებისა და გასაღებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 238. იარაღის, საბრძოლო მასალისა და ფეთქებად ნივთიერებათა უკანონოდ ტარება, შენახვა, შეძენა, დამზადება ან გასაღება

ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანისა), საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა სათანადო ნებართვის გარეშე ტარება, შენახვა, შეძენა, დამზადება ან გასაღება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

პირი, რომელმაც ნებაყოფლობით ჩააბარა ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა ან ფეთქებადი ნივთიერებები, რომლებიც მას სათანადო ნებარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის გარეშე ჰქონდა. თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

სანჯლის, ფინური დანის ან სხვაგვარი ცივი იარაღის სათანადო ნებართვის გარეშე ტარება, დამზადება ან გასაღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მოქმედება დაკავშირებულია რეწვის, სამსახურის ან საყოფაცხოვრებო პირობებთან, აგრეთვე როდესაც ეს იარაღი ეროვნული ტანსაცმლის სამკაულს წარმოადგენს. —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ორმოცდაათ მანეთამდე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 19 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

132 1974 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა საანგარიშო პერიოდში დაეძთხვა უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკურ ღონისძიებას — ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით ადგილობრივი საბჭოების მიერ გატარებულმა ორგანიზაციულმა ღონისძიებებმა განაპირობეს რესპუბლიკაში საკავშირო უმაღლესი საბჭოს არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარება.

არჩევნებთან დაკავშირებით მშრომელთა კოლექტივებს შორის გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, აღებულ იქნა გადიდებული ვალდებულებები. შრომითმა ენთუზიაზმმა თავისი ნაყოფი გამოიღო — არჩევნების დღეს, 16 ივნისს, რესპუბლიკის მშრომელებმა პარტიასა და საბჭოთა მთავრობას უპატაკეს ნახევარი წლის გეგმა-ვალდებულების ვადამდე შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXIV ყრილობის გადწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით, სულ უფრო აძლიერებენ და სრულყოფენ ორგანიზატორულ მუშაობას, ყოველმხრივ ხელს უწყობენ მეცხრე ხუთწლედის სამეურნეო ამოცანების წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებას, მასებთან კავშირის შემდგომ განმტკიცებას, სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების თანმიმდეკრულ განხორციელებას.

საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებასა და გააქტიურებაზე დამაჯერებლად მეტყველებს ის, რომ სესიებზე განხილულია რესპუბლიკის მრავალდარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოვანი სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა საკითხი, ამასთან საჭიროდ ეცნ
რადღება აქვს დათმობილი ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას, ანგა-
რიშებას—დეპუტატებისა ამომრჩეველთა წინაშე, ხოლო აღმასკომების, მათი
განყოფილებებისა და სამმართველოებისას — მოსახლეობის წინაშე.

საბჭოების სესიები, როგორც წესი, მოწვეულია კონსტიტუციით დადგე-
ნილ ვადებში. საანგარიშო პერიოდში სულ მოწვეულია 3531 სესია, რომლებ-
ზეც განხილულია 7532 საკითხი; მათ შორის 1475 საკითხი ეხებოდა გეგმასა
და ბიუჯეტს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ახლა ფართო გაქანება პოვა პრაქ-
ტიკამ, როცა სესიებზე იხილავენ რაიონის, ქალაქის, დასახლებული პუნქტის
სოციალურ-კულტურული განვითარების პერსპექტიულ გეგმებს.

მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის გა-
ნვითარებასთან დაკავშირებით სესიებზე განხილულია 102 საკითხი. სესიების
მსჯელობის საგანი იყო აგრეთვე სოფლის მეურნეობის განვითარების, მიწების
რაციონალურად გამოყენების, წყალსარგებლობის, სატყეო მეურნეობების
მტკიცნეული და ბუნების დაცვის საკითხები. ყველა რგოლის ადგილობრივი
საბჭოების სესიებზე განხილულია ასეთი სახის 1450 საკითხი

ასევე სესიებზე განხილული იყო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების და
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების 343 საკითხი, საბინაო-კომუ-
ნალური და კეთილმოწყობის — 185, სახალხო განათლების და კულტურის,
ჯანმრთელობის დაცვის და სოციუზრუნველყოფის — 1021, სოციალისტური
კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის გაუმჯობესების — 454.
ამასთან ერთად საბჭოების სესიებზე სათანადო ადგილი ჰქონდა დათმობილი
მშრომელთა წერილებისა და განცხადებების, დეპუტატთა კრიტიკული შენიშ-
ვნებისა და წინადადებების განხილვას, საბჭოების გადაწყვეტილებების შეს-
რულების შემოწმებას, აღმასკომების, მათი განყოფილებებისა და სამმართვე-
ლოების მუშაობის განზოგადებას, მუდმივი კომისიების ანგარიშების განხილ-
ვას და სხვ.

სესიების მომზადებასა და ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობდნენ დეპ-
უტატები. საანგარიშო პერიოდში სესიებზე კამათში გამოვიდა 19.149 დეპ-
უტატი, ანუ მთელი შემადგენლობის 31,5 პროცენტი.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის ყურადღების
ცენტრში იყო ამომრჩეველთა განაწესები. საანგარიშო პერიოდში საბჭოების
მიერ შესასრულებლად მიღებული 27093 განაწესიდან განხორციელებულია
17.574 განაწესი, ანუ საერთო რაოდენობის 62,9 პროცენტი.

აღნიშნულის შედეგად მრავალ სასკოლო შენობას მიუშენდა ახალი საკლა-
სო ოთახები, აიგო სავაჭრო პავილიონები და კულტურულ-საყოფაცხოვრები
დანიშნულების სხვა ობიექტები. მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა დასა-
ხლებული პუნქტების კეთილმოსაწყობად, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფა-
ცხოვრებო და სოციალურ-კულტურული მომსახურების გასაუმჯობესებლად.

ადგილობრივი საბჭოების მუშაობის ეფექტურობის ამაღლებას დიდაო
შეუწყო ხელი მუდმივმა კომისიებმა. 6855 მუდმივი კომისიის მუშაობაში ჩაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მული იყო 40673 დეპუტატი, ანუ დეპუტატთა მთელი შემადგენლობის 82,9 პროცენტი.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მუდმივმა კომისიებმა სესიის განსახილველად მოამზადეს 4350 საკითხი, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვადასხვა საკითხებზე მოხსენებებით და თანამოხსენებებით გამოვიდნენ 4.104-ჯერ. გარდა ამისა, მათ აღმასკომების სხდომებზე განსახილველად შეიტანეს 11.827 საკითხი.

გაიზარდა და კიდევ უფრო გააქტიურდა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა საქმიანობა საარჩევნო ოლქებში. ამომრჩევლებს ანგარიში ჩაბარა მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ — 46.484 დეპუტატმა ანუ დეპუტატთა მთელი შემადგენლობის 94,9 პროცენტმა. დეპუტატთა ანგარიშები მოსმენილ იქნა 43.391 კრებაზე, რომლებსაც 2.561.805 ამომრჩეველი დაესწრო.

ამასთან, ზოგიერთი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ორგანიზატორულ მუშაობას ჯერ კიდევ არ უკავშირებს რაიონის, ქალაქის, დასახლებული პუნქტის წინაშე მდგარ სამეურნეო ამოცანებს, სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შრომით საქმიანობას; არ ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების გასაუმჯობესებლად, საჭირო ინიციატივას არ იჩენს დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

აღინიშნება შემთხვევები, როცა საბჭოების აღმასკომები ვერ უზრუნველყოფენ სესიების მოწვევის კონსტიტუციური ვადების დაცვას, დეპუტატების, მუდმივი კომისიებისა და სხვა სპეციალისტების სათანადო მონაწილეობას განსახილველი საკითხების მომზადებაში.

ზემოაღნიშნულ პერიოდში სესიების მოწვევის ვადები დაარღვია ხუთმა აღმასკომმა (თბილისის საქარხნო რაიონი, ბორჯომის საქალაქო, თეთრი წყაროსა და საჩხერის რაიონების სასოფლო საბჭოები).

კვლავ გვხვდება ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების დარღვევის ფაქტები. 132 საარჩევნო ოლქში ჯერაც არ დანიშნულა არჩევნები, მათ შორის 12 საარჩევნო ოლქში (აფხაზეთის ასსრ 5, აჭარის ასსრ — 1, ქ. თბილისის ერთ რაიონულ, ყაზბეგის რაიონულ, აბაშის და ბორჯომის საქალაქო საბჭოებში და სხვ.) გასულ დეპუტატთა ნაცვლად არ აურჩევიათ ახალი დეპუტატები, თუმც უკვე გაიარა ორ თვეზე მეტმა.

ამ ხნის განმავლობაში 48.876 დეპუტატიდან ამომრჩევლებს ანგარიში არ ჩაბარია 2.500 დეპუტატმა, ანუ მთელი შემადგენლობის 5,1 პროცენტმა. ბოლნისის რაიონში ანგარიში არ ჩაუბარებია 135 დეპუტატს, წალკის რაიონში — 120, ყაზბეგის რაიონში — 69, საჩხერის რაიონში — 63 დეპუტატს და ა. შ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ ბევრ მათგანს მოწყობილი არა აქვს დეპუტატის ოთახი ან კუთხე, სათანადო დახმარებას არ უწევენ დეპუტატებს თავიანთი მოვალეობის შესრულებაში, ანგარიშების ჩაბარებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი მუდმივი კომისია ვერ ახორციელებს კანონით მინიჭებულ უფლებებს. ნაკლებად მონაწილეობს საბჭოების გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციაში და საჭირო წვლილი არ შეაქვს საბჭოსა და აღმასკომის ყოველდღიურ საქმიანობაში. სუსტად მუშაობდნენ კასპის, ლანჩხუთის, თიანეთის, ბოგდანოვკის, მესტიის რაიონული საბჭოების ტრანსპორტის, საგზაო მშენებლობისა და კავშირგაბმულობის, მაიაკოვსკის, ლენტეხის, ლაგოდეხის, წალკის, ხაშურის რაიონული საბჭოების ახალგაზრდობის საქმეთა, ონის, თიანეთის რაიონული საბჭოების ჯანმრთელობის დაცვის, მახარაძის საქალაქო საბჭოს მრეწველობის, ზესტაფონისა და აბაშის საქალაქო საბჭოების ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიები და სხვ.

ნაკლოვანებებია აღმასკომების, მათი განყოფილებების და სამმართველოების მიერ მოსახლეობისათვის ანგარიშების ჩაბარების საქმეში. 948 განყოფილებიდან და სამმართველოდან მხოლოდ 244-მა ჩააბარა მიმდინარე წლის პირველ სახევარში ანგარიში.

ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ამბროლაურის, ვანის, თეთრი წყაროს, საჩხერის, საგარეჯოს, წალკის, ქ. ჭიათურის და სხვა რაიონებსა და ქალაქებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაავალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) თავიანთი საქმიანობა წარმართონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესახებ კანონებისა და სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის შესაბამისად;

ბ) აამაღლონ და განამტკიცონ საბჭოების როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, უზრუნველყონ რომ ისინი სისტემატურად სწავლობდნენ და იხილავდნენ სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობის მნიშვნელოვან საკითხებს, ამით ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ მეცხრე ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის გეგმების და სოციალისტური შეჯიბრებით აღებულ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას;

გ) მტკიცედ დაიცვან სესიების მოწვევის კონსტიტუციური ვადები, გააუმჯობესონ ორგანიზატორული საქმიანობა იმ მიმართულებით, რომ სესიების მუშაობასა და მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში ფართოდ მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიები, დეპუტატები და მშრომელთა საზოგადოებები;

დ) დაეხმარონ მუდმივ კომისიებს მათი პრაქტიკული საქმიანობის სწორად წარმართვაში, შეუქმნან მათ მუშაობის სათანადო პირობები და მიაღწიონ იმას, რომ ისინი სრულად იყენებდნენ კანონით მინიჭებულ უფლებას — კონტროლს უწევდნენ საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საჭიროების შემთხვევებში შეიმუშაონ რეკომენდაციები გამოვლენილ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ;

ე) ხელი შეუწყონ დეპუტატებს სადეპუტატო მოვალეობის შესრულებაში, ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარების უკეთ ორგანიზაციის მიზნით უზრუნველყონ საცნობარო მასალებით საბჭოებისა და მათი აღმასკომების საქმიანობის შესახებ, შეარჩიონ სათანადო შენობები ამომრჩეველთა კრებების ჩასატარებლად და სხვ.;

ვ) მიიღონ ზომები საბჭოების მუშაობის საჯაროობის უზრუნველსაყოფად. აღმასრულებელმა კომიტეტებმა, მუდმივმა კომისიებმა, განყოფილებებმა და სამმართველოებმა რეგულარულად ჩაბარონ ანგარიშები მოსახლეობას თავიანთი მუშაობის შესახებ. ფართოდ გააშუქონ ადგილობრივ პრესაში და რადიოგადაცემებში საბჭოების მუშაობის ცალკეული საკითხები;

ზ) განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოების მუდმივი კომისიების, დეპუტატების აქტიურ მონაწილეობას სოციალისტური კანონიერების, საზოგადოებრივი წესრიგისა და შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვაში, შრომის დისციპლინის ამაღლებასა და განმტკიცებაში, წარსულის მავნე გადმონაშთების, მუქთახორობის, მექრთამეობის, მომხვეჭელობის, ლოთობის და სხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლაში;

თ) აღმასკომის სხდომებზე უახლოეს დროში განიხილონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ნახევარი წლის შედეგები და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებამ საჭირო დახმარება და კონტროლი გაუწიოს ადგილობრივ საბჭოებს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე.

თბილისი, 1974 წლის 19 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

133 გორის რაიონული საბჭოს, ფოთისა და გორის საქალაქო საბჭოების აღმასკომების შინაგან საქმეთა განყოფილებებში დანაშაულობათა და სამართალდარღვევათა თაობაზე მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოდგენილი მასალები გორის რაიონული საბჭოს, ფოთისა და გორის საქალაქო საბჭოების აღმასკომების შინაგან საქმეთა განყოფილებებში დანაშაულობათა და სამართალდარღვევათა თაობაზე მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ დასახელებულმა განყოფილებებმა უკანასკნელ პერიოდში ადგილობრივი პარტიული და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ხელმძღვანელობით, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტში, საგრძნობლად გააუმჯობესეს მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვისა და გადაწყვეტის საქმე. სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის გატარებული ღონისძიებანი სწორად არის შეხამებული გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ მუშაობასთან.

მშრომელთა დეპუტატების ზემოაღნიშნული რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიები სისტემატურად იხილავენ სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის საკითხებს. ამ საქმეში ფართოდ არიან ჩაბმული საბჭოს დეპუტატები და აქტივი.

ამასთან, დასახელებული რაიონისა და ქალაქების აღმასრულებელი კომიტეტების შინაგან საქმეთა განყოფილებებს ჯერ კიდევ გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებანი.

ხშირია შემთხვევები, როდესაც იგვიანებს შემოსული საჩივრების განხილვა და მათზე პასუხის გაცემა, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში საჩივარი ყოველგვარი რეაგირების გარეშე რჩება, მაგალითად:

გორის რაიონული საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილებაში 1974 წელს შემოსული საჩივრებიდან ერთთვიანი ვადის დარღვევით გადაწყვეტილია 31 საჩივარი, ხოლო გორის საქალაქო განყოფილებაში — 48, რაც შემოსული საჩივრების 7-8 პროცენტს შეადგენს.

გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილებამ 1973 წლის 20 ნოემბერს მიიღო მოქ. მოქ. დალაქიშვილისა და მალონოვას საჩივარი მათთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საჩივარი დროულად იყო განხილული და გადაწყვეტილი, მომჩივნებს პასუხი გაეგზავნათ ორ თვეზე მეტი დაგვიანებით.

ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილებაში გასულ წელს თითქმის 6 თვის მანძილზე რეაგირების გარეშე იყო დატოვებული მოქ. ბაძაღუას განცხადება მისი ბინის გაქურდვის შესახებ.

ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც რეგისტრაციას არ უკეთებენ ისეთი სახის სამართალდარღვევებს, როგორიცაა სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება.

1974 წლის 12 თებერვალს ფოთის ქალაქის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში მოთავსებულ იქნა ვინმე ნოსოვი — 15 წლისა, რომელსაც მარცხენა ხელის 4 თითზე მიყენებული ჰქონდა ჭრილობა ცეცხლსასროლი იარაღით. ეს ფაქტი შემოწმების დღემდე რეაგირების გარეშე იყო დატოვებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა/წლის 2 თებერვალს გორის ქალაქის საავადმყოფოში ზოთავსებულ იქნა მოჭ. ტატუნაშვილი, რომელიც თავის არეში იყო დაჭრილი. მიუხედავად იმისა, რომ გორის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებას ეცნობა ამის შესახებ, მათ არ მიუღიათ არავითარი ზომა იმ მოტივით, რომ დაზარალებულს აღძრული არ ჰქონდა საჩივარი.

შინაგან საქმეთა განყოფილებები ზოგჯერ ამოწმებენ განცხადებებში აღძრული ისეთი საკითხების სისწორეს, რომლებიც ეჭვს არ იწვევენ და შეიძლებოდა დაინტერესებული პირებისათვის სათანადო განმარტების მიცემა.

არის სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან არ აღძვრის შესახებ დადგენილების ნაჩქარევად, სათანადო შემოწმების გარეშე გამოტანის შემთხვევები.

ასე, მაგალითად, ქურდობისათვის ნასამართლევმა იურჩენკომ 1973 წლის მარტში ქ. ფოთში ჩაიდინა ბოროტი ხულიგნობა. მასალები ზერელე შემოწმების შედეგად მის მიმართ არ იყო აღძრული სისხლის სამართლის საქმე. იმავე წლის 4 და 5 ივნისს მან კვლავ ჩაიდინა ბოროტი ხულიგნობა.

1973 წლის 19 ივნისს შინაგან საქმეთა გორის საქალაქო განყოფილებაა გორის ბამბეულის კომბინატიდან გადაეგზავნა მასალები ამავე კომბინატის მუშაკების ადუაშვილის, ქირიკაშვილისა და აბუაშვილის დანაშაულის საქმეზე — 85.946 მანეთად ღირებული 34 ტონაზე მეტი ნართის დანაკლისის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საქმე პროკურატურის ორგანოებს ექვემდებარებოდა, ის წარმოებაში გადაეცა მილიციის ოპერატიულ მუშაკს, რომელმაც სათანადო შემოწმების გარეშე 1974 წლის 21 მარტს გამოიტანა დადგენილება არ აღძრათ სისხლის სამართლის საქმე.

დასახელებული რაიონისა და ქალაქების მილიციის განყოფილებები ჯერ კიდევ სათანადოდ არ აფასებენ მშრომელთა კოლექტივებისა და ამხანაგური სასამართლოების როლს სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

შინაგან საქმეთა გორის საქალაქო განყოფილებამ მიმდინარე წლის 6 თვეში ამხანაგურ სასამართლოებს განსახილველად გადასცა წვრილმანი ხულიგნობისა და წვრილმანი გატაცების მხოლოდ 10 შემთხვევა, თუმც ამავე პერიოდში მის მიერ განხილული და გადაწყვეტილია ამ კატეგორიის 144 საქმე იგივე მდგომარეობაა ფოთის საქალაქო განყოფილებაშიც.

მილიციის ცალკეული მუშაკების მიერ ზერელედ და არაობიექტურად ჩატარებული გამოძიების გამო ბევრი საქმე ბრუნდება დამატებითი გამოძიებისათვის.

მაგალითად, ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილებას 1973 წელს დამატებითი გამოძიებისათვის დაუბრუნდა სასამართლოში წარმართულ საქმეთა 10 პროცენტი, გორის საქალაქო განყოფილებას — 8 პროცენტი, ხოლო გორის რაიონულ განყოფილებას — 12 პროცენტზე მეტი.

მოკვლევისა და გამოძიების მიერ დამთავრებულ თითქმის ყველა საქმეზე გამოტანილი და წარმოება-დაწესებულებებში რეაგირებისათვის გადაგზავნილი წარდგინებები უმრავლეს შემთხვევაში ინფორმაციული ხასიათისაა, რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგან მათში აღწერილი არ არის ჩადენილი დანაშაული, სამართალდარღვევა ეამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი პირობები.

მოხსენებული რაიონისა და ქალაქების პროკურორები არასაკმაო ხელმძღვანელობას და დახმარებას უწევენ შინაგან საქმეთა განყოფილებებს.

ფოთისა და გორის საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ეშვიათად იხილავენ შინაგან საქმეთა განყოფილებებში მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებზე რეაგირების მდგომარეობას, არასაკმარისად ზრუნავენ მილიციის უბნის რწმუნებულებისათვის მუშაობის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს გადამჭრელი ზომები მიიღოს დანაშაულობათა თავიდან აცილების, აღკვეთის, და მათი სწრაფი გახსნისათვის, შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობაში კანონიერების მკაცრი დაცვისათვის, რისთვისაც:

ა) უზრუნველყოს მილიციის ორგანოების მუშაობის ძირეული გაუმჯობესება დანაშაულობათა შესახებ განცხადებებისა და შეტყობინებების რეგისტრაციისა და განხილვის, აგრეთვე დანაშაულობათა აღრიცხვის საქმეში.

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა მკაცრი დაცვით მიაღწიოს აღრიცხვისაგან დანაშაულობათა დაფარვის, სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე დაუსაბუთებლად უარის თქმის ან უკანონოდ საქმის შეწყვეტის ფაქტების აღმოფხვრას;

ბ) დასახოს და გაატაროს ღონისძიებანი მილიციის მუშაკთა პროფესიული მომზადების დონის ასამაღლებლად, რათა ყოველი მუშაკი გამოირჩეოდეს მაღალი პოლიტიკური და საქმიანი თვისებებით, დანაშაულებრივი ხელყოფისაგან მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მოვალეობის გრძნობის მაღალი შეგნებით.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების გორის რაიონის, ფოთისა და გორის საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა მილიციის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობისადმი; მიიღონ ზომები ქალაქებსა და რაიონში დამნაშავეობასთან ბრძოლის, დანაშაულობათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, საზოგადოებრივი წესრიგის და მოქალაქეთა უფლებების დაცვის საქმეში ფართოდ ჩაებან საბჭოების მუდმივი კომისიები, დეპუტატები, აღმასკომებთან არსებული სამეთვალყურეო, ადმინისტრაციული და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები, აქტივი.

3. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და რესპუბლიკის პროკურატურამ გააუმჯობესონ მუშაობა დანაშაულობათა თავიდან აცილებისა და იმ პირობების აღკვეთისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ მათს ჩადენას; გააძლიერონ მოსახლეობაში საბჭოთა კანონების პროპაგანდა, გააქტიურონ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, ამხანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბური სასამართლოების, საზოგადოებრიობის საქმიანობა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

4. საქართველოს სსრ პროკურატურამ გააძლიეროს შინაგან საქმეთა ორგანოებში დანაშაულობათა შესახებ განცხადებებისა და შეტყობინებების დროული და სწორი განხილვისა და რეგისტრაციის, დანაშაულობათა აღრიცხვის სისხლის სამართლის საქმეების აღძვრისა და გამოძიების ზედამხედველობა.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაატარა სათანადო ორგანიზაციული ღონისძიებანი იმ მუშაკების მიმართ, რომლებმაც დაუშვეს დარღვევები მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების გადაწყვეტის საკითხში.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უახლოეს პერიოდში შეამოწმონ დანაშაულობათა და სხვა სამართალდარღვევათა შესახებ მოქალაქეების საჩივრებისა და განცხადებების განხილვის მდგომარეობა შინაგან საქმეთა განყოფილებებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 19 ივლისი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

134 ახალქალაქის რაიონის სახალხო მოსამართლის ხ. ლ. სააკიანის გაწვევის შესახებ

განიხილა რა წარმოდგენილი მასალები ახალქალაქის რაიონის სახალხო მოსამართლის ხ. ლ. სააკიანის გაწვევის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს კენჭისყრა ახალქალაქის რაიონის სახალხო მოსამართლის ხაჩატურ ლევანის ძე **სააკიანის** გაწვევის შესახებ 1974 წლის 5 აგვისტოდან 12 აგვისტომდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 30 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

135 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“**:

1. ნუგზარ კარლოს ძე **კუხიანიძე** — ქუთაისის ტროლეიბუსების სამმართველოს მძღოლი.

2. ანზორ ზაქარიას ძე **პაპიაშვილი** — თიანეთის გაზის კანტორის საავარიო სამსახურის მორიგე.

3. ჰამლეტ გიორგის ძე **ყურშავიშვილი** — თიანეთის გაზის კანტორის მეძღოლი.

4. ვალერი ვლადიმერის ძე **ჩიხლაძე** — თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 19 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

136 მოწინავე პროპაგანდისტებისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი პროპაგანდისტული მუშაობისათვის მიენიჭოს **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება:

1. ეთერ ვასილის ასულ **ბერუაშვილს** — საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტის გამგეს.

2. შალვა ანეპოდისტეს ძე **გაბუნიას** — ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული ეკონომიური ცოდნის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტს.

3. ანდრია სავლეს ძე **გაგლოევს** — ცხინვალის რაიონის სოფელ ქსუისის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტს.

4. მარკლენ ივანეს ძე **დოლიძეს** — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული საპროგლემო სემინარის ხელმძღვანელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. მარგალიტა პარმენის ასულ **ეთერიას** — საქართველოს კპ ონიმეხის რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტის გამგეს.

6. გრიგოლ სარქისის ძე **ვართიკიანს** — ახალქალაქის რაიონის სოფელ მაჯადიას კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტს.

7. თინა ვლადიმერის ასულ **კვაჭაძეს** — საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორს.

8. გიორგი კონსტანტინეს ძე **მაჩაიძეს** — თბილისის 123-ე საშუალო სკოლის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული თეორიული სემინარის ხელმძღვანელს.

9. ტატიანა ლეონტის ასულ **ოტეჩკოს** — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული თეორიული სემინარის ხელმძღვანელს.

10. მელენტი გიორგის ძე **ფირცხალავას** — ბათუმის სავაგონო დეპოს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული ეკონომიური სკოლის პროპაგანდისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 4 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

137 საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, მიენიჭოთ საპატიო წოდება

საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის:

1. ელენე გიორგის ასულ **ანთელავას** — სოხუმის ქალაქის მე-2 საავადმყოფოს ექიმს.

2. მარგარიტა ვასილის ასულ **ბარნოვას** — აკად. გ. მ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექიმს.

3. თამარ ბენედიქტეს ასულ **ბერიძე-ქარსელაძეს** — შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ექიმს.

4. ეფემია სოლომონის ასულ **ბლიაძეს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური კლინიკური ინფექციური საავადმყოფოს ექიმს.

5. თამარ ვასილის ასულ **ბუჩუკურს** — თბილისის № 9 ბავშვთა პოლიკლინიკის უბნის ექიმს.

6. ვალენტინა ალექსის ასულ **გორშკოვას** — თბილისის ბავშვთა მე-19 პოლიკლინიკის მთავარ ექიმს.

7. გიორგი ალექსანდრეს ძე **გვრიტიშვილს** — ლენინგორის რაიონის ნაგარის სასოფლო საუბნო საავადმყოფოს გამგეს.

8. იური თეოფილეს ძე **გობრონიძეს** — თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

9. ვარვარა ალექსის ასულ **გოგინაშვილს** — წითელწყაროს რაიონის საავადმყოფო-პოლიკლინიკის რენტგენოლოგიური კაბინეტის გამგეს.

10. გიორგი იოსების ძე **გომარელს** — ბორჯომის რაისაავადმყოფოს პოლიკლინიკური გაერთიანების ექიმს.

11. თინა ვლადიმერის ასულ **გორგაძე-ჭილაძეს** — „ცენტროსოიუზის" წყალტუბოს სანატორიუმის ექიმს.

12. ნადია თედორეს ასულ **დანელიას** — ხობის სამშობიარო სახლის ქალთა კონსულტაციის გაერთიანების მთავარ ექიმს.

13. რუბენ ანდრიას ძე **დანიელიანს** — რესპუბლიკური კლინიკური ინფექციური საავადმყოფოს ექიმს.

14. ამბროსი ფილიპეს ძე **დვალს** — თბილისის № 28 პოლიკლინიკის ექიმს.

15. კლავდია გერასიმეს ასულ **ეგოროვას** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანეპიდსამმართველოს უფროსის მოადგილეს.

16. პავლე ალექსის ძე **ეპრიკაშვილს** — სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შავი ჭირის საწინააღმდეგო საქართველოს სადგურის ექიმს.

17. ვიქტორია კონსტანტინეს ასულ **ვინჩენკოს** — ამერკავკასიის სასაზღვრო ოლქის ჯარების სასაზღვრო რაზმის ექიმს.

18. ალექსანდრე მიხეილის ძე **ზღულაძეს** — ლანჩხუთის რაისაავადმყოფო-პოლიკლინიკის ექიმს.

19. თინა მიხეილის ასულ **თაბუკაშვილს** — თბილისის ქალაქის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის ცენტრალური ფილიალის გამგეს.

20. დავით იოსების ძე **თათარაშვილს** — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სამედიცინო სანიტარიული ნაწილის ექიმს.

21. უშანგი სერაპიონის ძე **თათარაძეს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კარსანის რესპუბლიკური ტუბერკულოზის საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

22. თამარ ნოეს ასულ **თედორაძეს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ექიმს.

23. იური გიორგის ძე **თვალჭრელიძეს** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილების უფროსის მოადგილეს.

24. პეტრე შაბათას ძე **იაკობაშვილს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ექიმს.

25. მიხეილ იზრაილის ძე **იზაკოვიჩს** — პენსიონერს.

26. მარიამ ზაქარიას ასულ **კავლელაშვილს** — გორის ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერის ექიმს.

27. აკაკი ტრიფონის ძე **კაკულიას** — ინგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

28. შოთა გიორგის ძე **კაშიახ** — სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ექიმს.

29. თამარ ალექსანდრეს ასულ **კიკვაძეს** — მცხეთის რაიონის სოფელ ნიჩბისის საექიმო უბნის გამგეს.

30. დავით პავლეს ძე **კიკნაძეს** — თბილისის № 3 პოლიკლინიკის განყოფილების გამგეს.

31. გრიგოლ იასონის ძე **კოკაიას** — სოხუმის ა. ა. ოსტროუმოვის სახელობის ქალაქის პირველი საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

32. თამარ გიორგის ასულ **კორკოტაშვილს** — თბილისის ბავშვთა № 9 პოლიკლინიკის განყოფილების გამგეს.

33. ვერა კონსტანტინეს ასულ **კოტიას** — პენსიონერს.

34. დიმიტრი ნიკიფორეს ძე **კუპატაძეს** — ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სამედიცინო სანიტარიული ნაწილის მთავარი ექიმის მოადგილეს.

35. ევგენია ნიკოლოზის ასულ **ლებედევას** — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბის პოლიკლინიკის ექიმს.

36. შალვა პარმენის ძე **ლიპარტელიანს** — ლენტეხის რაიონული საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

37. ირაკლი სტეფანეს ძე **მათეშვილს** — პენსიონერს.

38. მარიამ (მერი) სერგოს ასულ **მახარაშვილს** — თბილისის № 13 პოლიკლინიკის ექიმს.

39. ევგენია მოსეს ასულ **მეგრელიძეს** — პენსიონერს.

40. მარიამ დავითის ასულ **მუჩაიძეს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ექიმს.

41. არკადი სიმონის ძე **ნეიინსკის** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს IV მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის ექიმს.

42. ლუბა გიორგის ასულ **ნიეარაძეს** — მესტიის რაისაავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

43. ოლღა ევსევის ასულ **ულენტს** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომითი გამასწორებელი დაწესებულებების სამმართველოს ექიმს.

44. ჟანა სერგოს ასულ **სანაკოევას** — ჯავის რაიონული საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

45. ნოე ალექსანდრეს ძე **საყვარელიძეს** — ზესტაფონის რაიონის მთავარი ექიმის მოადგილეს.

46. ანისია მიხეილის ასულ **ტატაროვას** — წალკის ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერის მთავარ ექიმს.

47. ისაკი მელიტონის ძე **ქორიძეს** — თბილისის № 2 კანისა და ვენდაავადებათა დისპანსერის ექიმს.

48. ქსენია ვლადიმერის ასულ **ქუთათელაძეს** — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ სამედიცინო სანიტარიული ნაწილის ექიმს.

კ. მარქსის სახ. სა

ეროვნული ბიბლიოთეკა

49. ნაპოლეონ სტეფანეს ძე **შადიკიანს** — თბილისის 26 კომისრის რაიონის მთავარი ექიმის აპარატის ექიმს.

50. ივანე ბესარიონის ძე **ჩიქობავას** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური სანიტარიულ-ეპიდემიური სადგურის განყოფილების გამგეს.

51. აკაკი რაფიელის ძე **ჩანტლაძეს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მოსახლეობის სამკურნალო პროფილაქტიკური დახმარების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

52. კონსტანტინე ნიკოლოზის ძე **ჩაჩანიძეს** — ასპინძის რაიონის მთავარი ექიმის მოადგილეს.

53. თამარ ივანეს ასულ **ცაბაძეს** — თბილისის ქალაქის ორთოპედიისა და კლინიკური საავადმყოფოს ექიმს.

54. დალი გიორგის ასულ **ჭანტურიას** — მცხეთის რაიონის საავადმყოფო-პოლიკლინიკის ექიმს.

55. ეთერ ალექსანდრეს ასულ **ჭილაშვილს** — რესპუბლიკური სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ექიმს.

56. თამარ შალვას ასულ **ჯაოშვილს** — გ. ტარსაიძის სახელობის თვალის სნეულებათა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ექიმს.

57. აკაკი იოსების ძე **ჯაფარიძეს** — თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის კლინიკის ექიმს.

58. შოთა გიორგის ძე **ჯაფარიძეს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს IV მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის ექიმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1974 წლის 11 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

138 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით მოწივანე პროპაგანდისტების დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი პროპაგანდისტული მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ფრიდუნ ალი ოღლი **ალიევი** — მარნეულის საბჭოთა მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ალექსანდრე კონსტანტინეს ძე **არსენიძე** — ქ. ტყიბულის ორპირის სამუშაო შუალო სკოლის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული თეორიული სემინარის ხელმძღვანელი.

3. ოთარ ხარიტონის ძე **გასიევი** — ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული თეორიული სემინარის ხელმძღვანელი.

4. გივი ვლადიმერის ძე **ელიავა** — გეგეჭკორის რაიონის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი.

5. ავთანდილ კარპეზის ძე **ერგემლიძე** — სსრ კავშირის მშენებანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული თეორიული სემინარის ხელმძღვანელი.

6. თამარ გარსევანის ასული **ზაზანაშვილი**—თბილისის კერამიკული კომბინატის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტი.

7. მარგალიტა აკაკის ასული **მინაშვილი** — ხელვაჩაურის საშუალო სკოლის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული თეორიული სემინარის ხელმძღვანელი.

8. ბარბარე პეტრეს ასული **მიქელაძე** — თბილისის ავიოსაწარმოს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული თეორიული სემინარის ხელმძღვანელი.

9. ნიკოლოზ ივანეს ძე **ნეკრასოვი** — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ამერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების პოლიტგანყოფილების პროპაგანდისა და აგიტაციის ქვეგანყოფილების უფროსი.

10. ლიზა სევასტის ასული **სარიშვილი** — მახარაძის რაიონის სოფ. შემოქმედის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტი.

11. ბაჯგურ ესნატეს ძე **საღარია** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის აფხაზეთის ინსტიტუტის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფის ხელმძღვანელი.

12. ლევ გრიგოლის ძე **ტუზოვი** — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული თეორიული სემინარის ხელმძღვანელი.

13. მარია სანდროს ასული **ღურწკაია** — ცხაკაიას მე-5 საშუალო სკოლის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული თეორიული სემინარის ხელმძღვანელი.

14. შოთა დომენტის ძე **ყურაშვილი**—ცაგერის რაიონის კოლმეურნეობა ლასურიაშის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული დაწყებითი პოლიტსკოლის პროპაგანდისტი.

15. ბორის ალექსის ძე **შიკოვი** — თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. არჩილ ილიას ძე **ციკაშვილი**—წითელწყაროს რაიონის კასირის ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული მეთოდოლოგიური სემინარის ხელმძღვანელი.

17. ვლადიმერ კონსტანტინეს ძე **ციცვიძე** — ინსტიტუტ „საქგიპროშახტის“ პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული თეორიული სემინარის ხელმძღვანელი.

18. ვასილ რომანის ძე **ხუციშვილი** — სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბეს საშუალო სკოლის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული თეორიული სემინარის ხელმძღვანელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1974 წლის 4 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

139 კომპოზიტორ ა. კ. ანდრიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, კომპოზიტორი აკაკი კირილეს ძე **ანდრიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1974 წლის 16 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

140 ამხ. მ. დ. დავითაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი ამხ. მიხეილ დანიელის ძე **დავითაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1974 წლის 16 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

141 კომპოზიტორ გ. ი. კოკელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკის განვითარებაში დიდი დამსახურებისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, კომპოზიტორი გრიგოლ ირაკლის ძე **კოკელაძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 16 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

142 ამხ. ე. ა. სეხნიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეცნიერო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლო დაწესებულებათა განყოფილების გამგე ამხ. ემილ ალექსის ძე **სეხნიაშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 16 ივლისი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. შ. დ. კიკნაძის ინფორმაცია საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე დეპუტატთა მიერ დაყენებულ წინადადებათა განხილვის მდგომარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, შესაბამისმა სამინისტროებმა, უწყებებმა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის აღმასრულებელმა კომიტეტებმა დროულად განიხილეს სესიაზე დეპუტატთა მიერ დასმული წინადადებანი, გაატარეს ქმედითი ღონისძიებანი მათს განსახორციელებლად და განხილვის შედეგები აცნობეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დააწესონ კონტროლი დეპუტატთა მიერ სესიაზე დაყენებული საკითხების გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა დროულად შესრულებისადმი და შედეგები აცნობონ დეპუტატებს.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1974 წლის 19 ივლისის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 335 მრავალშვილიანი დედა. მათ შორის:

ქ. თბილისიდან	12
ქ. რუსთავიდან	4
ქ. ჭიათურიდან	20
ქ. ფოთიდან	3
ქ. ქუთაისიდან	5
ადიგენის რაიონიდან	4
ახალციხის „	8
ახმეტის „	11
ბოლნისის „	32
ბოგდანოვკის „	8
ბორჯომის „	2
გარდაბნის „	55
გეგეჭკორის „	9
დუშეთის „	9
ზესტაფონის „	8
ზუგდიდის „	12
თელავის „	5
თერჯოლის „	2
თიანეთის „	3
ლაგოდეხის „	11

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენტეხის	რაიონიდან	18
მარნეულის	„	33
მცხეთის	„	9
ორჯონიკიძის	„	1
ცაგერის	„	7
ცხაკაიას	„	2
ჩოხატაურის	„	5
ჩხოროწყუს	„	11
წალენჯიხის	„	10
წულუკიძის	„	2
ხაშურის	„	6
ყვარლის	„	6
სამხრეთ ოსეთის ა/ო		2